

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს საბუდარა ს/კ 426520213 წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2012 წლის 27 აგვისტოს და მისი 100 % წილის მფლობელია თამაზ წიქარიშვილი, რომელიც ასევე არის კომპანიის დირექტორი.

კომპანიის ოფისი მდებარეობს გარდაბნის რაიონ სოფელ კრწანისში

კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო საქმიანობა, კერძოდ: სადედე გუნდის იმპორტი, მისი გამოზრდა მეურნეობაში, მიღებული კვერცხიდან წიწილების გამოჩეკა და მათი რელიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ. ასევე ახდენს საკუთარ მეურნეობაში გამოზრდილი ფრინველის ცოცხლად რეალიზაციას, სასურსათო და საინკუბაციო კვერცხის რეალიზაციას, ფრინველის საკვების იმპორტს და რეალიზაციას, ვეტ პრეპარატების რეალიზაციას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო საკითხების მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“)

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მშს ფასზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

3. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

3.1) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

დირექტორი



წიქარიშვილი

3.2) უცხოური ვალუტის კონვერტირება
 უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.
 2021, 2020, 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო	თურქული ლირა	რუსული რუბლი
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040	0.2379	0.04147
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233	0.4462	0.04403
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095	0.4821	0.04642

3. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფული ექვივალენტები წარმოადგენს კომპანიის სალაროში და ასევე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლის რეალიზაციას ახდენს როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშწორებით, როგორც ქვეყნის შიგნით ეროვნულ ვალუტაში ასევე ქვეყნის გარეთ უცხოურ ვალუტაში. ქვეყნის გარეთ უცხოურ ვალუტაში არსებული მოთხოვნები გადაფასდება შესაბამისი კურსით და მიღებული სხვაობა აისახება მოგება ზარალში
 ყოველი წლის ბოლოს ხდება დებიტორული დავალიანებების შეფასება და საექვო მოთხოვნებზე კეთდება ანარიცხები, რომელიც აღიარებულ იქნება მოგება ზარალში

5. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები წარმოადგენს მომწოდებლებზე წინასწარგადახდილ ფულად სახსრებს.

დირექტორი  თ. წიქარიშვილი



6. მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულებაში შეიტანება ყველა ის დანახარჯი (დაბრუნებადი გადასახადების გარდა) რაც გაწეული იქნება მარაგის დასაწყობებამდე. კომპანია ყოველი საანაგრიშო პერიოდის ბოლოს აფასებს არსებობის თუ არა მარაგის გაუფასურების ინდიკატორები. როდესაც მოხდება მარაგის გამოყენება ან კომპანიიდან გასვლა ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით და აღიარდება შესაბამისი პერიოდი ხარჯად, მოგება ზარალში ასახვით

7. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	10-20 წელი
მანქანა-დანადგარები	3-10 წელი
კომპიუტერული არწურვილობა	3-10 წელი
ავეჯი	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

დირექტორი -



თ. წიქარიშვილი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

8. არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი დარიცხვის მეთოდით, წლიური 15 % ან იცვითით

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამები

9. ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიურ აქტივს წარმოადგენს იმპორტირებული სადედე გუნდის წიწილი და ფრინველი, რომელიც აღიარდება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

გაწეული ხარჯების კაპიტალიზდება ხდება სანამ ბიოლოგიური აქტივიდან შესაძლებელი იქნება ნაყოფის მიღება , შემდგომ ხდება დაგროვილი ღირებულების ცვეთა, მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პროპორციულად.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანია საქონლის შეძენას ახორციელებს როგორც ადგილობრივ ბაზარზე ისე ქვეყნის გარეთ, როგორც უნაღდო ანგარიშსწორებით ასევე კონსიგნაციით.

უცხოური საწარმოებზე არსებული დავალიანებების გადაფასება ხდება წლის ბოლოს არსებული ეროვნული ვალუტის კურსის შესაბამისად

11. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს როგორც ადგილობრივი ისე უცხოური საწარმოებისგან მიღებულ ფულად სახსრებს

დირექტორი -



დ. წიქარიშვილი

12. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ წარმოადგენს, დარიცხული ხელფასებს, რომლის გაცემაც ჯერ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში

13. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი

აღნიშნული მუხლი გულისხმობს საწარმოს მიერ გადასახდელი სესხის ძირის და პროცენტის მინდინარე ნაწილს.

14. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რა თანხის გადახდაც კომპანიას მოუწევს შესაბამის საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობისას. კომპანია რეგისტრირებულია დღეს გადამხდელად. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემისას და ასევე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში

15. მიღებული სესხები

კომპანიას აღებული აქვს სესხები საქართველოში რეგისტრირებული ფინანსური ინსტიტუტებისგან, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. სესხის პროცენტის გადახდა ხდება ყოველთვიურად და შესაბამისად აღიარდება როგორც ხარჯი, მოგება ზარალის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში აღებული სესხების გადაფასება ხდება ყოველი წლის ბოლოს

16. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი შედგება კომპანიის დამმნებლის და 100 % ან წილის მფლობელის შენატანებისგან ეროვნულ ვალუტაში. თანხის შეტანა ხდება როგორც კომპანიის სალაროში ასევე კომპანიის ანგარიშებზე ბანკში

17. ამონაგები

დირექტორი -



თ. წიქარიშვილი

შპს „საბუდარა „
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემული ლარში

ამონაგები მოიცავს როგორ საქონლის მიწოდებიდან ასევე მომსახურების გაწევიდან მისაღებ ფულად სახრსრებს ან სხვა საგებელს. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საქონელზე რისკი და სარგებელი გადაეცემა საქონლის მყიდველს

შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე

18. სხვა შემოსავლები

აღნიშნული მოიცავს კომპანიის მიერ მიღებულ ისეთ შემოსავალს რომელიც არ წარმოადგენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობას

19. იჯარა

იჯარა წარმოადგენს ჩვეულებრივ საოპერაციო იჯარას, გადახდილი საიჯარო თანხები განიხილება როგორ მიმდინარე წლის ხარჯი და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში

20. ფინანსური ხარჯები

აღნიშნულ მუხლი მოიცავს, კომპანიის სასესხო ვალდებულებებზე გადასახდელ პროცენტებს

დირექტორი -



თ. წიქარიშვილი

შპს „საბუდარა“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	3	105,000	109,822
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	5,272,623	6,105,583
გაცემული ავანსები	5	309,924	264,758
მარაგები	4	1,162,097	1,340,602
		6,949,644	7,820,765
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	552,366	734,827
არამატერიალური აქტივები	8	3,392	4,794
ბილოგიური აქტივები		-	-
თვითღირებულებით მოდელით	9	1,772,651	2,117,059
გადაფასებით მოდელით		-	-
		2,328,409	2,856,680
მთლიანი აქტივები		9,178,054	10,677,445
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	2,363,650	2,131,672
მიღებული ავანსები	11	349,189	88,080
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	12	46,260	44,653
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	13	73,763	200,000
საგადასახადო ვალდებულებები	14	111,616	57,460
		2,944,478	2,521,866
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	15	3,161,741	2,904,342
		3,161,741	2,904,342
მთლიანი ვალდებულებები		6,106,219	5,426,208

მთლიანი კაპიტალი

დირექტორი



- თ. წიქარიშვილი

შპს „საბუდარა“
 ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემული ლარში

საწესდებო კაპიტალი	16	283,459	36,160
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,788,375	5,215,077
		3,071,834	5,251,237
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		9,178,053	10,677,445

შპს „საბუდარა“
 მოგება და ზარალის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	17	14,494,640	16,964,042
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(12,199,509)	(12,775,560)
საერთო მოგება		2,295,130	4,188,481
სხვა შემოსავლები	18	194,027	146,107
მიწოდების დანახარჯები		(376,098)	(298,993)
ხელფასის ხარჯი		(306,327)	(304,225)
კომუნალური ხარჯი		(32,484)	(342,936)
იჯარის ხარჯი	19	(44,264)	(124,877)
ცვეთის ხარჯი		(186,539)	(185,108)
სხვა ხარჯები		(3,676,781)	(2,560,761)
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		70,615	(50,241)
საოპერაციო მოგება		(2,062,721)	467,448
ფინანსური ხარჯი	20	(363,981)	(144,399)
მოგება დაბეგვრამდე		(2,426,702)	323,049
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		(2,426,702)	323,049

დირექტორი -



- თ. წიქარიშვილი

შპს „საბუდარა“
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემული ლარში

შპს „საბუდარა“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება							
		კორექტირებები					
	2021	1 - ცვეთა და ამორტიზაცია	2 - საინვესტიციო ქონების რეკლასი	3 - ფინანსური იჯარით მიღებული ძ.ს.	4- კურსთა შორის სხვაობა	5 - ფინანსური ხარჯი	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან							
წმინდა მოგება	(2,426,676)						(2,426,676)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:							
ცვეთა		186,539					186,539
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი							-
მარაგების გაუფასურება							-
ძირითადი საშუალებების გაუფასურება							-
ცვლილება ანარიცხებში							-
(შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან							-
(შემოსულობა)/ზარალი ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილებიდან							-
(შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან							-
(შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან					(77,216)		(77,216)
დარიცხული მისაღები დივიდენდი							-
წმინდა ფინანსური ხარჯი						363,980	363,980
ცვლილებები საშუალო კაპიტალში							
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/კლება	787,769				(102,939)		684,830
მარაგების (ზრდა)/კლება	178,504						178,504
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)	494,694				115,575		610,269
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(კლება)	54,155						54,155
ანარიცხების ზრდა/(კლება)							-

დირექტორი -



თ. წიქარიშვილი

შპს „საბუდარა“
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემული ლარში

ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები							
მიღებული პროცენტი							-
გადახდილი პროცენტები						(363,980)	(363,980)
გადახდილი მოგების გადასახადი							-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(911,554)	186,539	-	-	(64,580)	-	(789,595)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან							
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	183,863	(186,539)					(2,676)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები							-
საინვესტიციო ქონების შეძენა							-
ბიოლოგიური აქტივების შეძენა	344,408						344,408
გაცემული სესხების ზრდა							-
გაცემული სესხების შემცირება							-
მიღებული დივიდენდები							-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	528,271	(186,539)	-	-	-	-	341,732
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან							
საწესდებო კაპიტალის ზრდა/ (კლება)	247,299						247,299
სასესხო ვალდებულების ზრდა	131,162				64,580		195,742
სასესხო ვალდებულებების დაფარვა							-
ფინანსური იჯარის ვალდებულების შემცირება							-
გადახდილი დივიდენდები							-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	378,461	-	-	-	64,580	-	443,041
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ზრდა (კლება)	(4,822)						(4,822)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	109,822						109,822
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება							-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	105,000						105,000

დირექტორი -



თ. წიქარიშვილი